

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 260,5 ათასი ლარი, საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის სხვადასვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 9 015,6 ათასი ლარი, აქედან:

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით 352,1 ათ. ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის;
- კაპიტალური ტრანსფერის სახით 7 573,5 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 4 895,5 ათ. ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 950,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად 838,0 ათასი ლარი და სოფლის მხარდაჭერი პროგრამის განსახორციელებლად 890,0 ათ. ლარი;
- ფინანსური დახმარების სახით 950,0 ათასი ლარი ახალი კორონა ვირუსის „COVID -19“ გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო განხორციელებული სეკვესტრის შედეგების უზრუნველსაყოფად.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის წლიური შემოსულობები განისაზღვრა 15 820,0 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 12 426,3 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ცხრა თვეში მიიღო 9 118,3 ათასი ლარის შემოსულობები და გეგმა შესრულებულია 73,4 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიდთან შედარებით მუნიციპალიტეტმა მიიღო 1 386,9 ათასი ლარით ნაკლები შემოსულობები. (2019 წლის ცხრა თვეში მიღებული გვექონდა 10 505,2 ათასი ლარის შემოსულობები.) შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობის და გასულ წელთან შედარებით შემცირებული შემოსულობების მიღების ძირითადი მიზეზია ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, რომელიც უკავშირდება ახალი კორონა ვირუსის „COVID -19“ - ის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილ საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულ ამბებს.

გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 4 191,4 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 4 426,4 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად 863,3 ათასი ლარი, 663,3 ათასი ლარით მეტი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაუგეგმავად 3,7 ათასი ლარი არის მიღებული, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 3 991,4 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 3 559,4 ათასი ლარი, გადასახადების გეგმა შესრულებულია 105,6 %-ით;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 7 520,5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 3 860,0 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია სრულად 457,4 ათასი ლარი, (მ. შ. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 352,1 ათ. ლარი და საზღვანდაცვისა და სამხედრო სამსახურის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის 105,3 ათასი ლარი);

კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 3 862,9 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 2 345,9 ათასი ლარი, 1 517,0 ათასი ლარით ნაკლები, ვინაიდან დაგეგმვა და ვალდებულებების აღება ხდება დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, ხოლო თანხის ჩამორიცხვა ხდება შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 698,4 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 802,7 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 114,9 %, აქედან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი დაგეგმილი 26,4 ათასი ლარიდან მიღებულია 46,2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან დაგეგმილ 41,0 ათასი ლარის ნაცვლად 37,4 ათასი ლარი, ვინაიდან კორონა ვირუსის გამო მოიჯარეებს გადაუვადდათ საიჯარო ქირა, სანებართვო მოსაკრებელი 1,2 ათასი ლარის ნაცვლად 20,9 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 28,0 ათასი ლარის ნაცვლად 36,1 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 504,7 ათასი ლარის ნაცვლად 526,2 ათასი ლარი, **არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსულობები ცხრა თვეში დაგეგმილი 16,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 29,2 ათასი ლარი, აქედან 15,9 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 13,3 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ცხრა თვის საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენს 4 810,8 ათას ლარს (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) ფაქტიურად მიღებულია 5 126,5 ათასი ლარი, ე.ი. საკუთარი შემოსულობების გეგმა

შესრულებულია 106,6 %-ით, გეგმის ზევით მიღებული გვაქვს 315,7 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები.

2020 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული სახსრების 4 988,9 ათასი ლარის ნაშთიდან წლიური ხარჯების დასაფარავად უკვე გადანაწილებულია 4 853,1 ათასი ლარი (3 713,5 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან და 1 139,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთიდან) მათ შორის ცხრა თვის მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მიმართულია 4 633,6 ათასი ლარი (3 493,9 ათასი ლარი არის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 1 139,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის დამტიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 402,0 ათ. ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი განსაზღვრულია 20 673,1 ათასი ლარით, გადასახდელების გეგმა გაიზრდილია 12 271,1 ათასი ლარით; ცხრა თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 17 059,9 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 10 670,8 ათასი ლარი, გადასახდელები დაფინანსებულია 62,5 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2020 წლის ცხრა თვეში ფაქტიური გადასახდელები გაიზრდილია 165,6 ათ. ლარით ათასი ლარით, გასული წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 10 505,2 ათასი ლარის ხარჯი.

გადასახდელებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხები წლიური გეგმიდან ათვისებულია 41,7 %, ხოლო ცხრა თვის გეგმიდან 48,8 %-ი; 2019 წლის ცხრა თვესთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვა გაიზრდილია 346,7 ათასი ლარით. (2019 წლის ცხრა თვეში სახელმწიფო ფონდებიდან დახარჯული იყო 4 615,4 ათასი ლარი)

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე პროგრამული კოდი 01 00 დაგეგმილი 1 863,3 ათასი ლარიდან გაწეულია 1 713,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,0 %-ით. გასულ წლის ცხრა თვეში დახარჯული იყო 1 761,8 ათასი ლარი, ე.ი. მმართველობაზე გაწეული ხარჯები შემცირებულია 48,4 ათ. ლარით.

მ.შ.

- 01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები ცხრა თვეში განსაზღვრული 476,9 ათასი ლარიდან გაწეულია 455,0 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3,2 ათ. ლარით ნაკლები და დაფინანსებულია 95,4 პროცენტით;

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები** დაგეგმილი 1 241,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 161,7 ათასი ლარი, გასულ წელთან შედარებით 85,2 ათასი ლარით ნაკლები, და დაფინანსებულის 93,6 პროცენტით;

- **01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ** დაგეგმილი 59,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 54,4 ათასი ლარი, მ.შ. 48,5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 5,9 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამხედრო სამსახურის შესანახი ხარჯები შემცირებულია 2,3 ათასი ლარით;

- **01 01 04 - კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი** დაგეგმილი 7,3 ათ. ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 0,8 ათასი ლარი.

01 02 01 - მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით გამოიყო 46.2 ათ. ლარი, მ. შ.

- 44,2 ათ. ლარი მთლიანად სოციალურ პროგრამებზე მიიმართა, აქედან 31, 2 ათ. ლარი მთლიანად მოხმარდა ახალი კორონა ვირუსის „COVID -19“ გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო მოქალაქეთა დახმარებას, ერთჯერადი და ყოველთვიური დახმარების სახით.

5,6 ათ. ლარი მიმართული იქნა შშმ პირთა დახმარებაში, 6.8 ათ ლარი სამკურნალო-საოპერაციო ხარჯების პროგრამაში, 0,6 ათ. ლარი სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის პროგრამაზე;

- 2,0 ლარი მიმართულია მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში საგარეუბნო მატარებლის (ხაშური-ზესტაფონი) მიმოსვლის შეზღუდვით გამოწვეული, მოქალაქეების სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით საწვავის შესაძენად.

- **01 02 02 სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფაზე** თვითმმართველობის დავალიანების ფონდიდან მიმდინარე წლის ცხრა თვეში გამოყოფილი იყო 62 119 ლარი, საიდანაც 21 257 ლარი მიიმართა შ.პ.ს. „დალა-73-ის“ სასარგებლოდ, 40 862 ლარი შ.პ.ს. „ბორი -85 -ის“ სასარგებლოდ და 12 100 ლარი ლაშის ადმ. ერთეულის წარმომადგენლის კ. კვინიკაძის სასარგებლოდ.

-**01 02 03 ვალდებულებების მომსახურეობაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური** განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადლო გადასახდელი 41,5 ათასი ლარი,

აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 16,0 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება პროგრამული კოდი 02 00 2020 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 10 081,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5 125,5 ათასი ლარით, რაც გასული წლის ექვსი თვის მაჩვენებელს 11,5 ათასი ლარით აღემატება, გასულ წელს აღნიშნულ პროგრამას შესაბამის პერიოდში მოხმარდა 5 114,0 ათასი ლარი. ათვისება ცხრა თვის თვის ხარჯებთან შეადგენს 50,8 %-ს და წლიურ გადასახდელებთან 43,8 %-ს;

- **02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე** პროგრამული კოდი 02 01 დაგეგმილი 8 644,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 4 321,7 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის ცხრა თვეში 3850,2 ათასი ლარი ე.ი. მიმდინარე წლის ცხრა თვეში 471,5 ათასი ლარით მეტი მოხმარდა ამ ქვეპროგრამას.

მათ შორის: 02 01 01 გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 7 297,3 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 5 879,9 ათას ლარზე და ფაქტიურად დახარჯულია 3 686,8 ათასი ლარი, აქედან 3 236,6 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 450,2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ამასთან მიმდინარე წლის სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფლ სახსრებზე აღებულია 3 791,5 ათ. ლარის ვალდებულება და დახარჯულია 2 304,9 ათ. ლარი (საქ. მთავრობის N 2630 განკ. და და საქ. მთავრობის N 325 განკ. სტიქის შედეგ. ლიკვიდაცია) ხოლო წინა 2017-2018-2019 წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან აღებულია - 1 485,6 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 931,7 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით აღებულია 602,8 ათ. ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 450,2 ათასი ლარი.

02 01 02 გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 145,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 64,6 ათასი ლარი. მ. შ. სახ. ფონდების ნაშთიდან აღებულია 90,7 ათასი ლარის ვალდებულება, დახარჯულია 31,3 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან აღებულია და გადარიცხულია 33,3 ათასი ლარი.

02 01 04 ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 1 177,0 ათასი ლარიდან ცხრა თვეში აღებულია 1 145,2 ათასი ლარის ვალდებულებები და გადარიცხულია 563,9 ათასი ლარი; აღებულ ვალდებულებებში 916,2 ათ. ლარი მთლიანად სახ. ფონდების სახსრებზე მოდის, მ. შ. 2020 წლის N 325 განკ. 530,8 ათასი ლარი, წინა წლების სახ. ფონდების ნაშთებიდან 385,4 ათ. ლარი, ფაქტიურად სახ. ფონდებიდან გადარიცხულია 482,5 ათასი ლარი; ამასთან საკუთარი სახსრებით ცხრა თვეზე აღებულია

229,0 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 81,4 ათასი ლარი.

02 01 05 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 24,5 ათასი ლარიდან ცხრა თვეში აღებულია 7,5 ათასი ლარის ვალდებულება და ფაქტიურად გადარიცხულია 6,5 ათასი ლარი, მათ შორის როგორც ზევით აღინიშნა 2,0 ათასი ლარი სარეზერვო ფონდის ხარჯზე მიმართულია საგარეუბნო მატარებლის (ხაშური-ზესტაფონი) მიმოსვლის შეზღუდვით გამოწვეული, მოქალაქეების სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით საწვავის შესაძენად.

02 02 წყლის სისტემის განვითარებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 132,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 62,3 ათასი ლარი, 47%, მათ შორის უშუალოდ წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად სახელმწიფო ფონდებით გათვალისწინებული 27,0 ათასი ლარიდან აღებულია 12,7 ლარზე ვალდებულება და ფაქტიური ხარჯი არ გაწეულა, ხოლო საკუთარი სახსრებით დაგეგმილი 75,0 ათასი ლარიდან აღებულია 49,5 ათასი ლარის ვალდებულება და ფაქტიურად დახარჯულია 33,3 ათასი ლარი; სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოსაწყობად სახ. ფონდების სახსრებით დაგეგმილი 30,7 ათასი ლარიდან აღებულია 29,3 ათ. ლარის ვალდებულება ადა გადარიცხულია 29,0 ათ. ლარი.

02 03 გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 126,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 121,6 ათასი ლარი;

02 04 მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 92,0 ათასი ლარიდან აღებულია მხოლოდ საკ. სახსრებიდან 24,8 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 22,3 ათ. ლარი. ხოლო სახ. ფონდებიდან დაგეგმილი 63,0 ათასი ლარიდან ჯერ-ჯერობით ვალდებულება არ არის აღებული.

02 05 კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 143,7 ათ. ლარიდან აღებულია 102,8 ათ. ლარის ვალდებულება, აქედან სახ. ფონდების სახსრებიდან 53,7 ათასი ლარზე და საკ. სახსრებით 49,2 ათ. ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადარიცხულია 52,6 ათასი ლარი, მ. შ 5,4 ათ. ლარი სახ. ფონდების სახსრებიდან და 2,2 ათ. ლარი საკუთარი სახსრებით.

02 08 სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 947,9 ათასი ლარი, აქედან მიმდინარე წელს მუნიციპალიტს გამოეყო 890, 0 ათ. ლარი, 42,5 ათასი ლარი არის წინა წლის პროგრამის ნაშთი, ხოლო 15,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გათვალისწინებული. ცხრა თვეში დაგეგმილი 878,8 ათასი ლარიდან ვალდებულება

აღებულია 870,0 ათ. ლარზე, ფაქტიურად გაწეულია 545,0 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 4,6 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 540,4 ათასი ლარი.

03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 742,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 672,9 ათ. ლარი, მ. შ

03 01 დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე 606,3 ათასი ლარიდან 553,3 ათასი ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 130,5 ათასი ლარიდან 116,3 ათასი ლარი;

03 03 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის 5,5 ათასი ლარიდან 3,3 ათასი ლარი.

04 00 განათლებაზე 2020 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 2 203,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 335,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 6,6 პროცენტით, განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 192,8 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი. გასული წლის ექვს თვეში განათლებას მოხმარდა 1 528,3 ათასი ლარი;

მ.შ.

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დაგეგმილი 1 012,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 849,0 ათასი ლარი;

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობაზე დაგეგმილი 44,5 ათასი ლარიდან აღებულია 30,3 ათ. ლარის ვალდებულება მთლიანად სახელმწიფო ფონდების ხარჯზე და ფაქტიურად დახარჯულია 16,5 ათასი ლარი;

04 03 მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე დაგეგმილი 277,0 ათასი ლარზე სრულად არის ვალდებულება აღებული და ფაქტიურად დახარჯულია 210,0 ათ. ლარი;

04 04 სკოლების რეაბილიტაციაზე 2020 წელს გათვალისწინებული 723,3 ათასი ლარიდან აღებულია 714,0 ათასი ლარის ვალდებულება, მ. შ საქ. მთავრობის N 27 განკარგულებით 657,2 ათ. ლარი და 66,0 ათ. ლარი საქ. მთავრობის წინა წლის N 13 განკარგულების ნაშთიდან, ფაქტიურად გადარიცხულია 122,8 ათასი ლარი, აქედან 51,2 ათ. ლარი N 13 განკ. ხარჯიდან და 71,6 N 27 განკ. ხარჯიდან.

04 05 ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე (ინტერნატი) ცხრა თვეში დაგეგმილი 62,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 58,6 ათასი ლარი.

04 06 სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე დაგეგმილი 83,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 78,7 ათასი ლარი.

05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 1 245,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 023,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 82,2 პროცენტით, გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 25,4 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ექვს თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 998,5 ათასი ლარი.

05 01 სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოხმარდა 387,6 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 90,9 ათასი ლარით მეტი, სხვაობა გამოწვეულია მიმდინარე წელს სპორტული ობიექტების რეაბილიტაციით. 2019წ წლის ცხრა თვეში სპორტის განვითარებაზე 296,7 ათ.ლარი იყო დახარჯული.

მ. შ.

05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 2,2 ათასი ლარი;

05 01 02 სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობაზე 245,7 ათასი ლარი;

05 01 04 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვაზე ცხრა თვეში დაგეგმილ 247,5 ათასი ლარზე მთლიანად არის ვალდებული აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია 139,7 ათასი ლარი.

05 02 კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 624,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 554,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 88,8 პროცენტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კულტურის გავითარებას 31,5 ათასი ლარით ნაკლები მოხმარდა, 2019 წლის ცხრა თვეში 586,0 ათასი ლარია კულტურის განვითარებაზე გაწეული. აქედან:

05 02 01 01 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე დაგეგმილი 92,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 88,1 ათასი ლარი.

05 02 01 02 კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობაზე 510,2 ათასი ლარიდან 450,0 ათასი ლარი;

05 02 01 03 ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე გეგმით და ფაქტიურად 15,5 ათასი ლარი;

05 02 02 კულტურის ღონისძიებების დაფინანსებაზე 3,8 ათასი ლარიდან 1,0 ათასი ლარი;

05 03 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე 38,7 ათასი ლარიდან 36,5 ათასი ლარი;

05 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 40,0 ათასი ლარი;

05 05 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 7,8 ათასი ლარიდან 5,4 ათასი ლარი;

06 00 ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 923,2 ათასი ლარიდან დახარჯა 799,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,6 % - ით. ამ პროგრამით მიმდინარე წელს გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 142,0 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2019 წლის ცხრა თვეში 654,2 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:

06 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 102,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 97,6 ათასი ლარი, მ. შ. 53,9 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 43,7 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

06 02 ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვაზე 13,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 0,4 ათასი ლარი;

06 03 სოციალურ პროგრამებით დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 839,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული ქვეპროგრამა გაიზარდა 136,6 ათასი ლარით და განისაზღვრა 975,6 ათასი ლარი, სოციალური პროგრამების ზრდა განხორციელდა 2020 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 92,4 ათ. ლარით და სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 44,2 ათასი ლარით.

ცხრა თვეში დაგეგმილი 806,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 701,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,9 %-ით, გასულ წლის ცხრა თვესთან შედარებით სოციალური პროგრამებზე საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით გაწეული ფაქტიური ხარჯები გაზრდილია 145,4 ათასი ლარით, 2019 წლის ცხრა თვეში საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით სოციალურ პროგრამებზე დახარჯულია 556,2 ათასი ლარი

აქედან,

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 268,2 ათასი ლარიდან აღებულია 259,5 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 259,5 ათასი ლარი, აქედან 6,8 ათასი ლარი თვითმართველობის სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

06 03 02 კოხლყარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებაზე 4,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 2,0 ათ. ლარი;

06 03 03 შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 31,6 ათასი ლარიდან აღებულია 27,3 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 25,9 ათასი ლარი;

06 03 04 ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი შედაგენდა 60, ათას ლარს, განხორციელებული ცვლილებების

შედეგად აღნიშნული ქვეპროგრამა გაიზარდა 72,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 132,0 ათასი ლარი, ცხრა თვის 117,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 100,4 ათასი ლარი, მ. შ. 26,6 ათასი ლარი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდის ხარჯზე.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე დაგეგმილი 24,7 ათასი ლარიდან ვალდებულება სრულად არის აღებული და ფაქტიურად გადარიცხულია 20,4 ათასი ლარი;

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 10,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 8,8 ათასი ლარი; **06 03 07** მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 2,0 ათასი ლარიდან 1,0 ათასი ლარი;

06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 5,0 ათასი ლარიდან 4,4 ათასი ლარი;

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 36,7 ათასი ლარიდან 27,3 ათასი ლარი;

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 4,0 ათასი ლარი სრულად არის გადარიცხული;

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 1,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 1,0 ათასი ლარი;

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე დაგეგმილი 26,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 9,0 ათასი ლარი;

06 03 13 სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამაზე 5,1 ათასი ლარი;

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 22,5 ათასი ლარიდან გაწეულია 15,0 ათასი ლარი;

06 03 16 გარდაცვლილი ვეტერანის ან ლტოლვილის დაკრძალვაზე 0,5 ათ. ლარი;

06 03 17 სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 136,0 ათასი ლარიდან გაწეულია 133,7 ათასი ლარი;

06 03 18 უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დაგეგმილი 94,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 83,6 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის ცხრა თვეში გაწეული 10 670,8 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 4 844,6 ათასი ლარი 45,4 %, და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 662,1 ათასი ლარით, 2019 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტს არაფინანსური აქტივების ზრდაზე 4 182,5 ათასი ლარი ქონდა დახარჯული.

გადასახდელების 54,6 % ე.ი. 5 800,8 ათასი ლარი კი მიმართულია ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის:

შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1 243,4 ათასი ლარი ანუ ხარჯების 21,4 %;

საქონელზე და მომსახურებაზე 936,6 ათასი ლარი - 16,1 %;

აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 134,2 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 7,7 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 77,5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 1,8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 299,4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 416,1 ათასი ლარი.

სუბსიდირებაზე 2 742,6 ათასი ლარი - 25,7 %;

პროცენტების გადახდაზე 15,9 ათასი ლარი - 0,1 % ;

გრანტებზე 28,2 ათასი ლარი - 0,3 %;

სოციალურ უზრუნველყოფაზე 509,2 ათასი ლარი - 4,8 %;

სხვა ხარჯებზე 324,8 ათასი ლარი - 3,0 %.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების და სუბსიდირების ხარჯები, ხოლო გაზრდილია არაფინანსური აქტივების ზრდის, სოციალური უზრუნველყოფის, პროცენტზე გადასახადის, გრანტების და სხვა მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები.